

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის სხდომის

ოქმი N 14

ქ.ვანი თავისუფლების N65

22 აგვისტო 2018 წელი

12 : 30 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტარიელ ბარამიძე, გელა ჩიკვაძე, მალხაზ ცერცვაძე, ივანე კორძაძე, მერაბ ხურციძე, გია ხარაბაძე, გელა ვარდოსანიძე.
სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

საპატიო მიზეზით სხდომას არ ესწრებოდა: შოთა გიორგაძე, თამთა დვალიშვილი, გია ოჩხიკიძე, თორნიკე ერისთავი, დავით კაკაბაძე, კობა ძაგნიძე.

მოწვეული პირები:

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - **ივანე მამფორია.**
კომისიის სხდომის თავმჯდომარე - ტარიელ ბარამიძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე .**

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N 38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: /ივანე მამფორია/

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - „ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N 38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა იზრდება 2324,1 ათასი ლარით. ბიუჯეტის ცვლილება განპირობებულია რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებაში 2018 წლის 17 აგვისტოს N1621 განკარგულებით განხორციელებული ცვლილებებით, რის შედეგადაც ვანის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის მოცულობა გაიზარდა 2324,1 ათასი ლარით, ფერეთას ადმინისტრაციულ ერთეულში, ალფაიდების უბანში, შიდა მუნიციპალური მნიშვნელობის საავტომობილო გზის რეაბილიტაციისა და ზეინდრის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფლების შუაგორა-ზედაგორას (ცივწყაროს მიმართულებით) შიდა მუნიციპალური მნიშვნელობის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის მიზნით. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხის მოცულობა განისაზღვრა 6292,4 ათასი ლარით.

პროექტების თანადაფინანსებისა და მათზე საპროექტო მონიტორინგის განხორციელების მიზნით, ამ ეტაპზე შეჩერდება ისრითის გზის რეაბილიტაციისა (211,0 ათასი ლარი) და მერიის ადმინისტრაციული შენობის დარბაზის რემონტის სამუშაოების დაფინანსება.

კომისიის წევრების მხრიდან წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

მომხრე - 7
წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს;

დამტკიცდეს და ცვლილება შევიდეს „ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N 38 დადგენილებაში ცვლილების შეტანას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ტარიელ ბარამიძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის თავმჯდომარე